პროგრამის სახელწოდება

კულტურის მენეჯმენტი CULTURE MANAGEMENT

განათლების საფეხური

ბაკალავრიატი BACHELOR DEGREE

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მენეჯმენტის ბაკალავრი BACHELOR OF MANAGEMENT

პროგრამის მოცულობა ECTS

240

სწავლების ენა

ქართული

სწავლის ღირებულება

1800 ლარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების განხორციელების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.

პროგრამის მიზანი

კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ქვეყნის, რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა, მმართველობითი სფეროს უკანასკნელ მიღწევებზე დაფუძნებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად, განუვითაროს კრეატიული და ნოვატორული იდეების გენერაციისა და რეალიზაციის, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური შეფასებისა და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების, დაწესებულებების სხვადასხვა რგოლის მართვის, დარგობრივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევები;
- პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებულნი იქნებიან შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებზე;
- პროგრამის კურსდამთავრებულებს დამატებით ექნებათ კულტურის სფეროს მართვაში არსებული თავისებურებების შესახებ ფართო ცოდნა და შეეძლებათ მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ვერბალური მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფში მუშაობა; პრაქტიკული მუშაობა; შემთხვევის შესწავლა; პროექტზე დაფუძნებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; სიმულაციური სწავლება; კონსულტაციები; დისკუსია/დებატები; პრეზენტაცია და სხვა.

სწავლის შედეგი

- ფლობს მენეჯმენტის სფეროს თეორიების, კონცეფციებისა და პრინციპების ფართო ცოდნას, განმარტავს მენეჯმენტის ორგანიზაციულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
- აღწერს და განმარტავს ბიზნეს და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე პროცესებს;
- ერკვევა კულტურის სფეროში თანხების მოზიდვის, შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებთან ურთიერთობის და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის მექანიზმებში;
- მოიძიებს და აანალიზებს ორგანიზაციის შესახებ არსებულ მონაცემებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში აყალიბებს შესაბამის დასკვნებს;
- იყენებს ორგანიზაციის რესურსების მართვისთვის შესაბამის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- მონაწილეობს დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში, ამყარებს კომუნიკაციას ქართულ და უცხო ენაზე დაინტერესებულ მხარეებთან;
- მონაწილეობს პროექტების, ოპერაციების და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში;
- განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში, ეთიკური პრინციპების დაცვით, ასრულებს მენეჯერულ ფუნქციებს;
- დამოუკიდებლად წყვეტს როგორც საკუთარი, ისე სხვების პროფესიული განვითარების საჭიროების საკითხს და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასაქმების სფერო

სასწავლო კურსის გავლისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:

- სახელმწიფო, საჯარო და კერძო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ფონდებსა და კომპანიებში, დაწესებულებებში, მათ შორის, კულტურისა და ხელოვნების სფეროში, საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერად, სპეციალისტად ან კონსულტანტად;
- შეუძლია წამოიწყოს საკუთარი საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელმა მენეჯერმა;
- განახორციელოს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური პროექტები.

შეფასების სისტემა

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა 40% (0-40 ქულა).
სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.
დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).
სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტი"ჩაიჭრა" შეფასებას ღებულობს აგრეთვე:
ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;
ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.
● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა" -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.

სწავლის გაგრძელება

ბაკალავრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა		
აკადემიური პერსონალი		
სახელი, გვარი	*სტატუსი*	*სასწავლო კურსი*
ერმილე მესხია	პროფესორი	პროექტის მენეჯმენტი; კულტურული ტურიზმის მენეჯმენტი; სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი; კულტურის პოლიტიკის საფუძვლები
ნინო მამულაძე	ასოცირებული პროფესორი	ბიზნესის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები; ბიზნეს-გეგმების შედგენა და მართვა; კულტურის მარკეტინგის საფუძვლები
სოფიო თავაძე	ასოცირებული პროფესორი	კინოხელოვნების მენეჯმენტი; სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი; საერთაშორისო ორგანიზაციები კულტურის სფეროში
თეიმურაზ კეჟერაძე	პროფესორი	შესავალი თეატრის ისტორიაში; თეატრის მენეჯმენტი
ოლღა ჟღენტი	ასოცირებული პროფესორი	შესავალი კინოს ისტორიაში
გულნარა გორგილაძე	ასოცირებული პროფესორი	ინგლისური ენა

ნათია კვაჭაძე	ასისტენტ პროფესორი	შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში
მოწვეული პერსონალი		
ჰამლეტ სანიკიძე	სპეციალისტი (I კატ.)	ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები; ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები; მცირე ბიზნესის მართვის საფუძვლები; დროის მენეჯმენტი; რისკების მართვა
სონია ჩეჩელაშვილი	სპეციალისტი (I კატ.)	ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები; მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვა; ფინანსების საფუძვლები; სტატისტიკა
ქეთევან გოლეთიანი	სპეციალისტი (I კატ.)	ინოვაციური მენეჯმენტი; ლოგისტიკა; საერთაშორისო ბიზნესი
ლეილა ცეცხლაძე	სპეციალისტი (I კატ.)	მენეჯმენტის საფუძვლები; ბიზნესის ეთიკა
ლელა თურმანიძე	სპეციალისტი (I კატ.)	კალკულუსი 1, კალკულუსი 2
გიორგი ვადაჭკორია	სპეციალისტი (II კატ.)	
ლილი ჭყონია	სპეციალისტი (II კატ.)	საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი
რეზო ტაკიძე	სპეციალისტი (I კატ.)	
რუსუდან იმედაიშვილი	სპეციალისტი (II კატ.)	მედიამენეჯმენტი
ნინო დოლიძე	სპეციალისტი (II კატ.)	რეკლამის მართვის საფუძვლები
თეა სარჯველაძე	სპეციალისტი (II კატ.)	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
სალომე ჩიკაშუა	სპეციალისტი (I კატ.)	სპეც. ინგლისური ენა 1; სპეც. ინგლისური ენა 2
ლიანა გველესიანი	სპეციალისტი (I კატ.)	შესავალი მუსიკის ისტორიაში
ნინო ხუჯაძე	სპეციალისტი (I კატ.)	საოფისე კომპიუტერული პროგრამები
ნათია მიქელთაძე	სპეციალისტი (I კატ.)	აკადემიური წერა

პროგრამის ხელმძღვანელი

სოფიო თავაძე - ასოცირებული პროფესორი, მობ: 593633087; e-mail: sofotavadze@hotmail.com
ნინო მამულაძე - ასოცირებული პროფესორი, მობ: 558903938; e-mail: ninomamuladze@gmail.com

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ბხსუ უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასწავლო სახელოსნოებით. ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	საათები			კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				სულ	საკონტ.	დამოუკ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		სპეციალობის ძირითადი კურსები	**165**	**4125**	**1540**	**2585**	**5**	**15**	**30**	**31**	**30**	**29**	**15**	**15**
F57-1		მათემატიკა	5	125	50	75	5							
F36		მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	50	75		5						
10C2		ბიზნესის საფუძვლები	5	125	50	75		5						
10C3		მარკეტინგის საფუძვლები	5	125	50	75		5						
10C6		ფინანსების საფუძვლები	5	125	50	75			5					
შესაბ. დონე	შესაბ. დონე	დარგობრივი ინგლისური ენა 1	5	125	50	75			5					
10C13	F36	ინოვაციური მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	60	90			6					
F39	10C2	ლოგისტიკა	5	125	50	75			5					
10C8	F36	ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები	5	125	50	75			5					
10C28		საერთაშორისო ორგანიზაციები კულტურის სფეროში	4	100	40	60			4					
10C27	F36	ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	50	75				5				
F38	F36	პროექტის მენეჯმენტი	5	125	50	75				5				
შესაბ. დონე	შესაბ. დონე	დარგობრივი ინგლისური ენა 2	5	125	50	75				5				
10C4	10C6	ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	6	150	60	90				6				
10C10	F57-1	სტატისტიკა	5	125	50	75				5				
F40	10C2	ბიზნესის ეთიკა	5	125	50	75					5			
10C24	10C2	საერთაშორისო ბიზნესი	6	150	60	90					6			
10C17		სპეც. ღონისძიებათა მენეჯმენტი	5	125	50	75					5			
10C15	F36	კულტურული ტურიზმის მენეჯმენტი	4	100	40	60					4			
10C18	10C4	მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვა	5	125	50	75					5			
10C30	10C2	ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები	5	125	50	75					5			
10C23	F36	მედიამენეჯმენტი	4	100	40	60						4		
10C14	10C2	ბიზნეს-გეგმების შედგენა და მართვა	6	150	60	90						6		
10C20		რეკლამის მართვის საფუძვლები	4	100	40	60						4		
10C29	F36	თეატრის მენეჯმენტი	4	100	40	60						4		
10C16	F36	რისკების მართვა	6	150	60	90						6		
10C9		დროის მენეჯმენტი	5	125	50	75						5		

10C19	F36	კინოხელოვნების მენეჯმენტი	5	125	50	75							5	
10C22	F36	სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი	5	125	50	75							5	
10p1		პრაქტიკა 1	5	125	35	90							5	
10p2	10p1	პრაქტიკა 2	5	125	35	90								5
10C26		საბაკალავრო ნაშრომი/საბაკალავრო პროექტი	**10**	250	20	230								10
სპეციალობის არჩევითი კურსები			**5**	**125**	**50**	**75**				**5**				
el-80		კულტურის პოლიტიკის საფუძვლები	5	125	50	75								
10C21	F36	საბიბლ. და საგამომც. საქმის მენეჯმენტი	5	125	50	75								
10C4	10C2	მცირე ბიზნესის მართვის საფუძვლები	5	125	50	75								
10C11	10C3	კულტურის მარკეტინგის საფუძვლები	5	125	50	75								
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები			**25**	**625**	**250**	**375**								
F17		შესავალი თეატრის ისტორიაში	5	125	50	75	5							
F18		შესავალი კინოს ისტორიაში	5	125	50	75	5							
F19		შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში	5	125	50	75		5						
F21		შესავალი მუსიკის ისტორიაში	5	125	50	75		5						
U-2-1		საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	125	50	75	5							
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები			**15**	**325**	**130**	**195**	**10**	**5**						
U-1		აკადემიური წერა	5	75	30	45	5							
E-B1-1		ინგლისური ენა B1-1	5	125	50	75	5							
E-B1-2	E-B1-1	ინგლისური ენა B1-2	5	125	50	75		5						
E-B2-1		ინგლისური ენა B2-1	5	125	50	75	5							
E-B2-2	E-B2-1	ინგლისური ენა B2-2	5	125	50	75		5						
დამატებითი სპეციალობა/არჩევითი ბლოკები/კურსები			***30***	***750***									***15***	***15***
სულ			***240***	***5950***			***30***		***30***	***31***	***30***	***29***	***30***	***30***